

რწმუნებულის ადმინისტრაციაში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

29 აგვისტო 2023

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები და რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ემიგრაციის, ქვეყანაში მიგრანტების დაბრუნებისა და მათი მდგარდი რეინტეგრაციის ხელშეწყობის საკითხებზე ისაუბრეს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) არის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ჰუმანურ და მონესრიგებულ მიგრაციას. ასევე, ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნის განვითარებისთვის მიგრაციის დადებითი პოტენციალის გამოყენებას.

ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების მდგარდი რეინტეგრაციის ხელშეწყობა, როგორც ინდივიდუალური დახმარების, ისე დაბრუნებული თემების გაძლიერების გზით. პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა ისეთი აქტივობები, როგორებიცაა მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, დაბრუნებული მიგრანტების ბიზნეს იდეების დაფინანსება/თანადაფინანსება და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ-ეკონომიკური პროექტების დაფინანსება.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პროექტების განხორციელება შიდა ქართლის რეგიონთან ერთად სვანეთის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეში იგეგმება.